ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოლოგიაში** **BA in Philology**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): • ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი • დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. ბელა წიფურია, პროფ. ლევან ცაგარელი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2022 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, შეისწავლოს ლიტერატურული ტექსტები ფართო კულტურულ, ისტორიულსა და საზოგადოებრივ კონტექსტში. პროგრამა სცდება რომელიმე ერთი ქვეყნის, ჟანრის, სტილის ან ეპოქის ლიტერატურის საზღვრებს. მისი მიზანია, მოამზადოს ლიტერატურათმცოდნოების დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ფართო ცოდნით ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის შესახებ და შეძლებს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზსა და ინტერპრეტაციას მათი ჟანრობრივი, ეპოქალური და ესთეტიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, პროგრამა უვითარებს სტუდენტს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

პროგრამის კურსდამთავრებული

1. ხსნის ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად ცნებებს, პრინციპებსა და კონცეფციებს;
2. აღწერს ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ესთეტიკურ და სტრუქტურულ თავისებურებებს;
3. განარჩევს ერთი ან მეტი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიის ძირითად ეპოქებსა და მიმდინარეობებს, ჩამოთვლის ამ ეპოქების / მიმდინარეობების მნიშვნელოვან წარმომადგენლებს და გადმოსცემს მათი პარადიგმატული ნაწარმოებების სიუჟეტსა / თემატიკას;
4. უკავშირებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შესაბამის ისტორიულ, ინტელექტუალურსა და კულტურულ კონტექსტებს;
5. ახორციელებს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზსა და ინტერპრეტაციას;
6. ხელმძღვანელობის პირობებში ახორციელებს კვლევითი ხასიათის პროექტს ლიტერათმცოდნეობის აქტუალური საკითხის/პრობლემის შესახებ ბ და ამისთვის მოიძიებს შესაბამის რესურსებს (პირველად და მეორად წყაროებს), ახდენს მოძიებული ინფორმაციის შეფასებასა და სინთეზს;
7. შეუძლია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებთან თავისი იდეებისა და არგუმენტების შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია შემოქმედებითად, მკაფიოდ და დამაჯერებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. იჩენს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას სწავლის პროცესში და ზრუნავს თავის უწყვეტ განათლებაზე.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- ელექტრონული სწავლების მეთოდი/ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება);
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია და სხვა.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდიც, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი შემდეგი სქემის მიხედვით:

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა - 6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO - 12 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფერო -120 კრედიტი:

- ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამის სავალდებულო კურსები - 48 კრედიტი
- ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები - 60 კრედიტი (თითოეული სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან არანაკლებ 6 კრედიტი)
- ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამის არჩევითი კურსები - 12 კრედიტი (სტუდენტს შეუძლია არჩევითი კურსების ნაცვლად გაიაროს პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები)

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპომენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

- მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო და ახალი მედიები
- საარქივო, საბიბლიოთეკო სფერო
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები, არქივები
- შესაბამისი პროფილის საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორი

- კულტურული პროექტები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
• უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი • სალექციო აუდიტორიები • საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა • შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი • წიგნის სახლი “ლიგამუსის” საჯარო ლექციების სივრცე • წიგნის კითხვის კლუბი • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა www.e-learning.iliauni.edu.ge და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin • აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/